ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასოფლო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| | გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთი წლისა | — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა | —3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა | —1 მ. | — 1 მ. — |

**მეხუთე წელიწადი**

**გამოდის თვეში ორჯერ**

**ხელის-მოწერა მიიღება:**

თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის) სტამბაში, სერგეევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи* «*СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ*» *при типографіи Г. Церетели и ко.* (*Дубелира-*

№ 8 შაბათი | V | 30 აპრილს, 1872 წ.

**ნაარსი:**

როგორ მოჰყავთ ბამბა.—ბამბის მცენარის მოვლა.-ბამბის მოკრეფა.—ბამბის მნიშვნელობა.—სამღვდელოების გადასახადის კრეფა.—მეყველეების არტელი (გაგრძელება).—განცხადებები.—

## როგორ მოჴყავთ ბამბა?

ვისაც ბამბის მოყვანა უნდა, იმან უთუოთ ყურადღება უნდა მიაქციოს ორ პირობას: ჰავას და ნიადაგს, რომელზედაც მოჰყავს ბამბა. იმისათვის, რომ რიგიანი ბამბა მოვიდეს, საჭირო არის ცხელი ჰავა, რომელსაც შეუძლიან დაიცვას ეს მცენარე მავნებელი ყინვისაგან რვა თვის განმავლობაში. ამისაგან წარმოსდგება ის გარემოება, რომ ჩდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა ალაგებშიც იმ ალაგს უფრო კარგი ბამბა მოდის, სადაც სხვაზედ მომეტებული სითბო არის. ჩრდილოეთ ამერიკაში სამხრეთის შტატებში უფრო კარგი ბამბა მოდის, სინამ სხვებში და ამის მიზეზი არის იმ შტატების მშვენიერი ჰავა. ამ შტატებში ჩვენ ვხედავთ მრავალს მთებს, დიდს და მშვენიერს მინდვრებს, ზღვას თავის ყურეთი, რომელშიაც ჩადიან მრავალნი წყალნი და აი ეს ამნაირი ბუნება არის ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ სამხრეთის შტატებში მშვენიერი ბამბა მოდის, რომელიც ძალიან შველის იქ ხალხის ცხოვრებასა. ერთის სიტყვით ამ შტატებში მთები ძალიან აკეთებს ჰავას; აქ, თუმცა ზაფხულში ძვირათ მოდის წვიმა, მაგრამ გაზაფხულზედ კი ისეთი უხვათ წვიმს ხოლმე, რომ ეს წვიმები ზაფხულისთვისაც კმარობს და გვალვასაც აბრკოლებს ხშირათ. თუნდ რომ ზაფხულში გვალვაც იყოს, მაინც ბამბას არა უშავსრა, ამისათვის რომ ბამბის მცენარე თუ პატარა მაღლა წამოიზარდა, მაშინ გვალვა ვეღარას დააკლებს იქა; ეს იმიტომ, რომ ამას იმისთანა ფესვები აქვს, რომლებიც ძალიან ღრმათ მიდიან მიწაში და იმ სიღრმიდგან ამოაქვთ სისველე, რომელიც იქ არის დარჩენილი ზამთრის და გაზაფხულის წვიმებიდგანა.

ბამბის მოსაყვანათ სამნაირი ნიადაგია ძალიან საჭირო. პირველათ საჭირო არის, რომ ბამბა დათესონ რბილს, თიხიანს და წითელს ნიადაგზედ, როგორც ჩადიან სამხრეთ კაროლინაში, მისსისიპის ახლო და სხვა ალაგებში ჩრდილოეთ ამერიკაში. ამნაირი ნიადაგი მით უფრო კარგია, რომ რბილია და ამის გამო წვიმა კარგათ უვლის და ამის გარდა ძალიან ცოტა ქვა ურევია, რომლის გამო ის ადვილი მოსავლელია

მეორეთ საჭირო არის ბამბის მოსაყვანათ შავი მიწა, რომლითაც მდიდარია საშუალი ალაბომია ჩრდილოეთ ამერიკაში. ამნაირ ნიადაგში მშვენიერი ბამბა მოდის მით უფრო, რომ ამ მიწამ ძალიან ცოტა ჭია იცის, რომელიც ავნებს ბამბასა და ისრე ძვირათ ფასობს ეს მიწა, რომ არ აგდებენ მოუვლელს არც ერთ ნაჭერსა, თუმცა ამნაირ ნიადაგში ბევრჯელ კარგი წყალი არ არის ხოლმე, მაგრამ მაინც რაც უნდა იყოს ორჯერ მეტ ფასათ ღირს პირველ ნიადაგზე.

უკანასკნელ ბამბის დასათესათ ძალიან კარგია იმისთანა ალაგი, სადაც წინათ წყლებს უდენიათ. ამნაირი ალაგები ჩრდილოეთ ამერიკაში ბევრია და აქ მშვენიერი ბამბა მოდის, რომლის მიზეზი ის არის, რომ ამ ალაგებზედ წინათ რომ წყლებს უდენიათ, და შემდეგ თავისი მომდინარეობა გამოუცვლიათ, ამ ადგილებში ისეთი ნაწი-

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა

ლები დაუტოვებიათ, რომელიც უფრო საჭიროა ბამბის მოსაყვანათ. ამნაირი ნიადაგი მალიან ადვილათ ითვისებს წყალს და ინახავს მას დიდხანს. ყოვლის ამისათვის ეს ნიადაგი ყველაზედ მრიელა ფასობს და მართლაც სხვა ნიადაგებს ეს ნიადაგი ბევრით სჯობიან. ამნაირი ნიადაგისათვის ორ ნაირი გუთანი არის საჭირო, ერთი იმისთვის, რომ ბამბის დასათესათ ადგილი კვალებათ დაიყოს და მეორეც შემდეგის მოვლისათვის. ამასთანავე უნდა სახეში გქონდეს, რომ ღრმათ მოხვნა თუ არ აწყენს, არ არგებს ბამბის მოყვანას. ამის მიზეზი ის არის, რომ ღრმათ მოხნულ ნიადაგში მალიან მაღალი ბამბის მცენარე მოდის და ეს სიმაღლე უშლის ბამბის ჩქარა შემოსვლას. ბამბისათვის კი ის უკეთესია, რამდენათაც ჩქარა შემოვა და რამოდენათაც გვიან შემოვა, იმდენათ საზარალოა პატრონისათვის. ბამბის მოსაყვანათ დანიშნულის ნიადაგის მოსახნავათ საუკეთესო დრო არის თებერვალი, მეტადრე იმისთანა ადგილებში, სადაც მაღლობია, ან წითელი მიწაა. ამ თვეში გამოვიდეს თუ არა კარგი დარები, მაშინვე უნდა გამოიტანონ გუთნები, მაგრამ მოხვნის დროს უნდა მქონდეთ ყურადღებაში, თუ იმ ნიადაგზე, რომლის მოხვნასაც აპირობენ, რა ეთესა წინა წელიწადში. თუ იმ ნიადაგში წინათაც ბამბა თესებულა, მაშინ უნდა გაიგზავნოს იქ ორი ან სამი კაცი თოხებით, და ამ თოხებით უნდა მოითოხნოს სულ რაც დარჩენილი ბამბის ჩალებია ნიადაგზე და შემდეგ ერთათ შეგროვებისა დაიწვას. თუ წინა წელიწადში მალიან კარგი მოსავალი არ იყო ბამბისა და ამის გამო მოსახნავ ალაგში აქა იქა დგანან მხოლოდ ბამბის მირები, მაშინ შეიძლება ბამბის კვალები მოიხნას გაუთოხნავათ; მაგრამ როდესაც სახნავში მალიან ბევრი და ამასთანავე მალიან მაღალი მირები დგანან დარჩენილები, მაშინ გაუთოხნავათ და იმ მირების დაუწველათ მოხვნა მალიან მნელია. ბევრჯელ მოხდება ხოლმე, რომ ბამბას თესენ იმისთანა ადგილას, სადაც წინათ სხვა რამე თესებულა და ან სულ არაფერი. ამისთანა შემთხვევაში სულ სხვანაირათ უნდა მოიქცეს კაცი. წინათ უნდა ორხლით შემოუარონ და კარგათ დანიშნონ ბამბის კვლების მიჯნები, შემდეგში ის სხვა და სხვა ბალახები, რომლებიც ამოსულია სახნავზედ, უნდა გააწყონ და უკანასკნელ მოიხნას. ეს მოხვნა იმაში მდგომარეობს, რომ ბამბის კვლებს აქეთ იქით რაც ადგილია დარჩენილი, ის უნდა მალიან ღრმათ მოიხნას, ასე რომ აქეთ იქიდგან დიდრონი ბელტები გადმოეწყოს კვლებს და ეს უკანასკნელები სრულიად უნდა დაიმალონ ბელტებითა. თუმცა მოხვნა სხვანაირათაც შეიძლება, მაგრამ მაშინ თითონ კვლების მოხვნას მალიან დიდი საღრმავე არ არის საჭირო და ისიც იც უნდა ვსთქვათ, რომ ზემოხსენებული მოხვნისაგანაც მალიან კარგი მოსავალი იცის ბამბამა.

როდესაც ამნაირათ მოიხვნის და კვლები დაკეთდება ფებერვალში, მაშინ უნდა თავი მიანებონ ერთ თვემდინ და თუნდა მეტიც, რომ გაზაფხულის წვიმებმა რიგიანათ დაასწორონ და წყალი ასვან ბამბისთვის მომზადებულს კვლებს. ბამბის თესვა კი უნდა უთუოთ აპრილის პირველს დაიწყოს, წინააღმდეგ ამის, ბამბას შემოსვლა ძალიან დაუგვიანდება, რადგან ბამბა იზრდება თითქმის ოთხი თვე და მეტიც ბევრჯელ. თუ კარგი დარებია პირველი აპრილის ცოტა წინათ რომ დაითესოს სჯობიან ასე, რომ პირველს აპრილს თითქმის ამოსულიც უნდა იყოს. ამნაირათ დათესილი ბამბა, თუ კარგი დარი დაუდგა აგვისტოს პირველისთვის უთუოთ შემოსული იქნება და მის მოკრეფა დაიწყობა აგვისტოს თოთხმეტიდგანა, მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ თუ ბამბა მომეტებულად ადრე დაითესა, მაშინ იმას ცივი წვიმები დაჰკრავენ, რომლებიც, ბამბის თესლებს მიწაში დაალპობენ და რაც ამოვა, ისიც სნეული და გაყვითლებული. ბევრჯელ მოხდება ხოლმე, რომ მომეტებულის წვიმისაგან გაკეთებული კვლები მალიან დაიწევენ ხოლმე მირსა და ამ შემთხვევაში საჭირო არის კვლები კიდევ შემოიხახოს, აიჩიჩქნოს და მსუბუქი ფარცხი დაევლოს ზემოდგან, რომ მიწა უფრო რბილათ დახვდეს თესლსა. რომ ბამბა კარგა და ბლომათ მოვიდეს, ამისთვის, სხვათა შორის საჭირო არის რომ ის რიგიანათ დაითესოს. დათესვა შეიძლება ამნაირათ მარტის გასულს, როდესაც კარგი დარი გამოვიდეს, უნდა თესლი მზათ იყოს დასათეს ხნულის კვლებთან, ჯერ ამ კვლებს გააფუფუნებენ ფარცხის ზემოდგან გადავლით და მსუბუქის ორხილით; ამ ფარცხს და ორხილს მისდევს უკან უმაწვილი, ან ქალი, რომელსაც წინ ფართუკი სავსე აქვს ბამბის თესლითა. მარცხენა ხელით ფართუკი უჭირავს, ხოლო მარჯვენით იღებს თესლსა და სთესავს დაფარცხულ კვლებში. შემდეგ ამნაირათ დათესვისა ზემოდგან კიდევ უნდა გადაევლოს ფარცხი, ან ამისათვის მომზადებული ფიცარი, რომ თესლს ზემოდგან მიწამ გადაუაროს და დაჰფაროს ის სხვა და სხვა მავნებელის გარემოებებისაგან. ბევრს ალაგებში, სადაც საკმაოდ არა თბილა, საჭირო არის ბამბის მოსაყვანი ალაგები გააპატივონ ამიტომ, რომ ცივი ადგილი მალიანა სწყენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამბას რიგიანათ მოსვლასა. დოქტორი კლაუდი, რომელიც უფრო გამოცდილია ბამბის მოყვანაში, ამბობს, რომ ზემოხსენებულ ცივი ალაგების გასაპატივებლათ ძალიან კარგიაო, რომ აურიოთ ერთმანეთში ორი ნაწილი ნაცარი და ერთი წილი მარილი და ეს შეერთებული ნივთიერება დაეყაროს იმ ნიადაგს, რომელზედაც ბამბის დათესას აპირებენ. არის კიდევ სხვანაირი საშუალება—უნდა თესლი დასველდეს მარილის წყალში და პატკის წვენში, შემდეგ აირიოს ის თეთრ მიწაში და ამნაირი თესლი უთუოთ კარგ ბამბას მოიყვანს.

## ბამბის მცენარის მოვლა

ბამბის დათესის შემდეგ ათი დღე ან ორი კვირა რომ გავიდეს, პატრონმა უნდა შემოუაროს დათესილ კვლებს და ის იქ შენიშნავს ახლად ამოსულს სუსტს ფოთლებს ბამბისას თუ ამ დღეებში ცივი ამინდი იყო, მაშინ ცოტა საეჭვო არის ბამბის ხეირობა ამიტომ, რომ ეს სიცივე ბევრს თესლს მიწაშივე დაალპობს და დანარჩენი თესლი კი ამოვა მხოლოდ აქა იქა თხლათა. თუ კვლები სქლათ იყო დათესილი, მაშინ ეს ეთი საშიშო აღარ არის პირველი დღეების სიცივები, ნათესი ამოვა რიგიანათ და რაც თესლი მიწაში დარჩება სიცივის გამო, ისიც მაშინათვე ამოჰყოფს თავსა, როგორც თბილი დღეები გამოვა. პირველათ ამოჰყოფს თავსა დათესილს კვლებში ორი პატარა ფოთოლი და ორი სამი დღის შემდეგ ისრე ამოიწევენ, რომ ერთი შეხედვით გაარჩევს კაცი იმას, ე. ი. ბამბის მცენარეს სხვა მინდვრის მცენარებისაგან, როგორც ამოჰყოფს თავს მესამე ფურცელიც, მაშინათვე ცხადათ შეეტყობა იმას როგორ დათესილია ისა, კარგათ, თუ ურიგოთ. სადაც კვლებიც ვერ არის რიგიანათ გაკეთებული და თესლიც უცოდინარის ხელით არის დათესილი, იქ ეჭვი არ არის, რომ ბამბაც თხლათ და ურიგოთ ამოვა. თუ ბამბა მომეტებულად სქლათ ამოვიდა, მაშინ უთუოთ უნდა გათხელდეს ისა, გაიმარგლოს ამიტომ, რომ იმას მოშორდეს მომეტებული მცენარები და მიწამ თავისი ძალი სულ ერთიანათ რიგიან და უფრო კარგს ბამბის ძირებს მოახმაროს. ეს გამარგვლა შეიძლება თოხით ისე თითქმისა, როგორც სიმინდსა სთოხნიან: ერთმა რომელიმემ უნდა აიღოს თოხი და კვლებში ჩამოიაროს ამოთოხნით, აქ რასაკვირველია ის შენიშნავს მომეტებულს და უსარგებლო ძირებსა; ეს ძირები უნდა მოაშოროს სხვებსა და ამასთანავე მიწაც გაუფაუფუკოს. როცა ძალიან სქლათაც არ არის ამოსული ბამბა, მაშინაც უნდა ამას ამნაირი მოვლა: პატრონმა უნდა თოხით ჩამოუაროს კვალში და კარგს და საიმედო ბამბის ძირებს უნდა მოაშოროს სხვა და სხვა მავნებელი ბალახები და აგრეთვე თითონ ბამბის ძირებიც, რომლებიც ძალიან ახლო ამოსულა დიდროვან და საიმედო ძირებთან და უშლიან იმის კეთილდღეობას. ამნაირათ უნდა გაიწმინდოს ბამბის კვლები და ამასთან უნდა ცდილობდეს პატრონი, რომ გასწმინდოს კვლები, რომ დანარჩენი ბამბის ძირები კარგათ მოშორებით იყვნენ ერთმანეთიდგან და რიგზედ იყვნენ ამოსულნი.

როგორც ბამბა რიგზედ არის ამოსული, ე. ი. არც ძრიელ თხლათ და არც ძრიელ სქლათ და სწორეთ, მაშინ იმისი გათოხნა ძალიან ადვილია ასე, რომ უნდა დაჰყვეს თავიდგანა თოხითა და ბოლოში გავიდეს; ამ დროს უნდა ყურადღება მიექცეს და ამოითოხნოს მომეტებულათ ის ბალახები, რომლებიც უფრო ძირში არიან მისულები ბამბის მცენარებთან. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ გამარგლა არ უნდა დაგვიანდეს, ასე, რომ ერთ კვირას უნდა გათავებული იყოს და რაც უფრო ჩქარა გაითოხნება, ის უკეთესია, ხოლო რამდენიც გვიან გაიმარგლება, ის უფრო საზარალოა. ხანგამოშვებით გამარცვლაც ცუდია, ასე, რომ ერთი ნაწილი რომ წინათ გაითოხნოს და მეორე კი დარჩეს რამდენსამე ხანსა, ეს ძალიან აზარალებს ბამბასა. უნდა ყოველთვის ვსარგებლობდეთ კარგის დარებით, წინააღმდეგ ამისა არ ეარგება. რასაკვირველია, რომ მაისის პირველ რიცხვში, იმ მშვენიერ ამინდებში ისევ გასათოხნი იყოს ბამბა, ან მაშინ ითოხნებოდეს და ჯერ კი სრული თავის უფლება არ ჰქონდეს მიწას და ბამბასაცა. მაისის პირველიდგან ოცამდინ უნდა კვლებში და კვლებს შუა ორხილი გაევლოს, რომელიც ამ დროს მიწას მიაყრის ბამბის მცენარეებს და უფრო აფაფუკებს მიწას, რომელიც ძალიან კარგია ბამბისთვის; მაგრამ ისიც კი უნდა გვახსოვდეს, რომ მიწა ბევრი არ უნდა მიეყაროს ბამბის ძირებსა, თორებ რგვების მაგივრათ კიდეც აწყენს. ამასთან პატრონი კიდეც თოხით უნდა მისდევდეს და აცლიდეს ბამბას სხვა და სხვა მავნებელს მცენარეებსა, ამნაირი მოვლის დროს კარგი მიყოლა უნდა, თორემ ბევრჯელ მაისის პირველიდგანა ოცამდინ ბევრჯელ წვიმიანი და მოღრუბლული დღეები არის ხოლმე და ამ დროს ბამბის ძირების შუა, როგორც სხვაგანაც, ბალახები ძალიან მაღლა იზდებიან და მაშინ იმათი მოშორება ძალიან ძნელია და თუ არ მოშორდნენ კი ძალიან ავნებენ და აზარალებენ ბამბასა. ბამბა ძალიან სუსტი მცენარეა და ამიტომ ბევრს მოვლას თხოულობს და ბევრჯელ მცირედის მოუვლელობისაგან დაიღუპება ისა. თუნდა სრულობითაც არ წახდეს, მაინც ის სხვა და სხვა მცენარეები ძალიან დაასნეულებენ ბამბასა ასე, რომ ის ამოვა ყვითელი და სნეული და ძალიან დაბალიც გაიზდება, რომლის გამო ის შემოვა ძალიან გვიან და ამ მხრიდანაც აზარალებს თავის პატრონსა.

ბამბას, როგორც ზემოთაცა ვსთქვით, სითბო ძალიან ბევრი სჭირდება, მაგრამ სისველე კი მომეტემული არ ვარგა და თუ არ აწყენს, არა ფერს არ არგებს. როდესაც წინათ ძალიან იწვიმებს და შემდეგ ცხელი დღეები გამოვა, მაშინ ჩვენ უნდა მივხვდეთ, რომ ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო არ არის ბამბისათვისა. ის აძაგებს ანუ ახავსებს ბამბასა და ამის გარდა ყჩენს კკბენარსა, რომელიც ძალიან ახდენს ბმბას. ეს კბენრები ისეთი საზარალოები არიან ბამბისათვის, რომ მეტი აღარ შეიძლებ და იმის წამალი სხვა არაფერი არ არის რა, გარდა ძალიან მარდათ და ჩქარა შემუშავებისა ბამბის ნათესისა. მომეტებული წყალი, რომ ასე ახდენს ბამბასა, ამიტომ პატრონი უნდა ცდილობდეს კარგათ გამოუთოხნოს ძირები ბამბის მცენარეებს, რომ ამ ძირებში წყალი არ ჩაგუბდეს და ბამბა არ წაახდინოს ერთიანათა. მეტარე თიბათვეში და მკათათვეში მომეტებული წვიმიანი დღეები ძალიან სწყენს ბამბის სიმთელესა და საზოგადოთ ჰაერის ხშირ-ხშირი გამოცვლაც ძალიანა სწყენს ბამბასა.

ბამბის შესანიშნავი თვისება ის არის, რომ ის თვაის ყვავილების ფოთლების ფერს ძალიან ხშირათ იცვლის—ასე, რომ დილით შეხედოთ დაინახავთ ახალ გაშლილს უფერულს და მოყვითლოსა, შუადღემდინ სრულებით გაყვითლდება, სალამოთი ფერი უწითლდება და ვარდს მიემსგავსება, მეორე დილით კი სრულებით ვარდის ფერს მიიღებს და ასე იცვლის ფერსა ძალიან კარგა ხანსა.

ზემოთ ჩვენ, თუმცა ვსთქით, რომ წვიმების შემდეგ ცხელი დღეები ასნეულებენ ბამბასა, მაგრამ აქ უნდა ვსთქვათ, რომ ეს მაშინ მოხოება ხოლმე, როდესაც წინათ მეტის მეტათ ძრიელი სწვიმს და შემდეგ ცხელ დღეებს იჭერს. თიბათვეში და მკათათვეში კი წინათ რომ ზომიერათ იწვიმებს და შემდეგ თბილი დღეები, საზარალოკი არა, მარგებელიც არის, რადგან ამნაირი დარები ბამბას ნაყოფს უმრავლებენ და ჩქარა მოჰყავთ.—

## ბამბის მოკრეფა

რომელსაც ბამბისთვის რიგიანათ და მართლა მოუვლია, იმან რომ ნათესში გაიაროს მარიამობის თვეში, მაშინთვე შეატყობს, რომ ბამბა შემოსვლას აპირობს და იმის მოკრეფის დროც ძალიან ახლო არის. მაშინ ის უნდა შეუდგეს მოსაკრეფი მასალების ფიქრსა, ე. ი. მუშების გარდა უნდა დაამზადოს მოსაკრეფათ პარუსინის, ანუ ტილოების ტომრები პწკლის კალათები: ტომრებს განიერი პირები უნდა ჰქონდეთ, ტესონკები, ან სხვა რამე მოებას აქეთ იქით და ისე ეკიდოთ ყელზე მუშებსა ბამბის კრეფის დროს; ამნაირად გაკეთებული ტომრები და კალთები ძალიან გაუადვილებენ მუშებს ბამბის კრეფასა.—

ღვინობისთვის ნახევარს კარგათ მოვლილი ბამბის მცენარებს რომ შეხედოს კაცმა იამება, ისე მშვენივრად არიან გადაკუჭულები და თოვლივით თეთრათ გააქთ ხაჩხაჩი. როდესაც პატრონი ათვალიერებს ბამბის დათესილს და ამოსულს კვლებს, თუ შეატყო რომ თორმეტიოდ თავი მაინც გადაკუჭულა ბამბისა, მაშინათვე უნდა გაგზავნოს მან მუშები მოსაკრეფათ, რომელნიც მოჰკრეფენ ამ დროს ძალიან ბლომათა. ამ დროიდგან დაიწყობა ბამბის კრეფა და გაგრძელდება ისა თითქის შობამდინა; ეს ბამბის კრეფა რამოდენათაც სასარგებლოა, თითქმის იმოდენათ სასიამოვნო და რაღაცა სიხარულს შეადგენს იმის კრეფა, მაგრამ რაკი ძალიან დიდხანსა გრძელდება, ამისათვის მუშებს ჩქარა მოსწყინდებათ ხოლმე იმისი კრეფა; მართლაც და ძალიან ძნელია იმ გაგრძელებული ჯაფის ატანა, რომელიც ბამბის კრეფას უნდა და ამისათვის საჭიროა ძალიან, რომ მუშებს კარგი პატივი და კარგი ჯამაგირი ჰქონდეთ, რადგან ყველამ იცის, რომ დიდ შრომას შესაფერი დასაჩუქრება უნდა. ყველანი ერთ ნაირათ ვერა მუშაობენ; შენიშნულია, რომ ქალები უფრო მარდები არიან კაცებზე ბამბის კრეფაში და კაცებში კი ის უფრო მარდია, რომელიც დაბალია და ჩასხმული.

ჩვენ ვსთქვით, რომ ბამბის კრეფა ძალიან მოსაწყენი და ძნელია, ამის გარდა ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ეს მუშაობა სხვაფრივაც ბევრის გზით არის საშიშო და ბევრჯელ საზარალოც მუშებისათვის; ამიტომ, რომ როგორც ვიცით ენკენის თვეში, ღვინობის თვეში და მომეტებულად შემდეგ თვეებში დილდილით ძალიან სიცივეებია ხოლმე და ბამბის მუშებიკი გაუთენებლივ მიდიან ხოლმე სამუშაოთა. ამ დროს მიწას ძალიან ბევრი ნამი აქვს ხოლმე შეუშრობელი; ეს ცივი ნამი უსველებს ფეხებს და ტანისამოსს მუშებსა და თუმცა მერე კარგი მზეებიც გამოვა ხოლმე, მაგრამ რადგან სალამ-სალამოთი სიცივე ისევ მოუჭერს ხოლმე, ამის გამო ბევრჯერ მოხდება რომ მუშები გაცივდებიან მინდორში დააწყებინებთ ცივებას და ამნაირად სცდებიან ყოველს თავის საქმესა. ამისათვის გარდა კარგის პატივისა მუშებისთვის საჭირო არის კარგათ, ე. ი. თბილათ ტანთ ჩაცმა და ამასთანავე უნდა ახსომდეთ, რომ ძალიან ცივ დილაებში რომ ცეცხლი აინთონ და ნამისაგან დასველებული ტანისამოსი დროზედ შეიშრონ და ისე იმუშავონ, მაშინ უეჭველია ისინი აიცდენენ ცივებას, რომელიც ძალიან ხშირათა სტანჯამს ბევრს მუშებთაგანს, უფრო კარგი ბამბა, ე. ი. პირველის და მეორე ჯურისა, იკრიფება იმ დრომდინ, სინამ ყინვებს დაიწყობდეს და რაკი ყინვებს დაიწყობს, მაშინ კარგი ბამბა აღარ მოიკრიფება, რადგან ყინვა ძალიან მტრობს ბამბასა. ამ დროს მესამე ჯურის, ანუ მესამე ხარისხის ბამბა იკრიფება და ამ ბამბის, თითქმის, არაფერი მოიქსოვება რიგიანი და სუფთა. როდესაც ბამბა ძალიან ბლომათ მოვა, მაშინ თითქმის ნახევარი მესამე ჯურისაში მოჰყვება ამიტომ, რომ იმის მოკრეფას ბევრს ხანს მოუნდებიან და ყინვებიც მოასწრებენ იმაობაში.

ძალიან გაცხარებული მუშაობა ბამბის კრეფაში არის ხოლმე ღვინობის თვეში, მაგრამ ყველგან კი არა, მარტო იმ ალაგებში, რომლებიც უფრო მოსავლიანები არიან. ის დათესილი მინდვრები, რომლებიც თავის დროზედ რიგიანათ არიან შემუშავებულები, ამ თვეში სასიამოვნოთ არიან გათეთრებულები და რასაკვირველია დროც არის მოკრეფისა. ამ დროს ამ მინდვრების პატრონებმა უნდა იხმარონ ყოველი ღონისძიება, რომ ამ თვე-

ა მუშაობა გახურებული იყოს, ამ დროს
რო არ უნდა იკარგებოდეს ძილში და ამ-
ირ დროს გატარებაში, ამიტომ, რომ ეს
რო ძალიან ძვირია და ბამბის პატრონები
აფერს არ უნდა ზოგავდნენ მუშებისთვის—
ლონდაცკი ისინი რიგიანათ მუშაობდნენ. ლა-
ს მუშაობას ამ დროს დიდი ფასი არა აქვს
რაც კარგი ბამბაა ამ დროს მოიკრიფება
ლა. ძალიან სასარგებლო იქნება, რომ მუ-
ბი მარდები და საქმის უკეთესი მცოდნები
ოირჩიენ, ესენი წინ წავიდნენ და ჰკრიფონ
ეთესი ბამბა, ე. ი. მაღლა რომლებიც ას-
და მეორე ნაწილი მუშებისაკი უნდა მის-
ვდეს წინაებს და დაბალ ტოტებზე ჰკრეფ-
ს შეძლებისა დაგვარად. ბამბის კრეფა გა-
ძელდება ხოლმე [illegible]ევრჯელ სამი თვიდგან
თხ თვემდინ, ე. ი. მრთელს სექტემბერში,
ქტომბერში, ნოემბერში და ხან ქრისტის-
ობის თვეში და მარიამობის თვეშიცა.

## ბამბის მნიშვნელობა

ბამბის მცენარე ისეთი მცენარეა, რომლის
ყვანისთვის კაცმა არას ოდეს არ უნდა და-
უროს არც დრო და არც შრომა. ეს ისრე
ადია, რომ თითქმის არცკია საჭირო ჩვენ
გავაგძელოთ ამაზედ, მაგრამ მაინც ვიტ
ით რაოდენსამე სიტყვას ბამბის მნიშვნე
ობაზედ. ბამბას აქვს ხალხისათვის ახირებუ-
ლ დიდი მნიშვნელობა და სარგებლობა
, რომ ის აკმაყოფილებს ძალიან ბევრს
თხოვნილებას ხალხისასა. სხვა სასარ-
ბლო მცენარეები თავის მნიშვნელობით
სარგებლობით იმას ვერ შეედრებიან და
ბამბას შევადარეთ ცხვრის მატყლის და
რეშუმის სარგებლობა, მაშინ დავინახამთ,
ომ მატყლს და აბრეშუმს უფრო დიდი მნიშ-
ლობა აქვს, მაგრამ ბამბის ამ შემთხვევა-
ც კიდევ სხვა ღირსება აქვს, სახელდობ
ხადე. თუ ხალხის მომეტებული ნაწილი ვერ
წვდება ფასით აბრეშუმის საქონლის, რა-
ოვიდა, რომ კარგია? საზოგადოთ არც
თი ქსოვილი ვერა სჯობს ბამბის საქონელს
სამ თვისებაეაში: სიმაგრეში, სიიაფეში და ადვილათ საშოვრობაში. თუმცა მაგარიც და კარგიც არის ბამბის ქსოვილი, მაგრამ ისე იაფათ ჯდება იმისი ტანსაცმელი, რომ გაჰკვირდება კაცი; ამ სიიაფის გამო ღარიბი ხალხი უფრო იმას ეტანება და აკმაყოფილებს თავის სხვა და სხვა მოთხოვნილებებს გარდა ამისა ვინ არ იცის ბამბა რა ხშირად იხმარება ტანისამოს დასათბუნებლად ზამთრისათვის, ბამბას ხშირად ხმარობენ კიდევ ბალიშების და დოშაკების ასავსებათ და ამ მხრითაც დიდი სარგებლობა მოაქვს ბამბასა. ბევრი ამის წინააღმდეგ ამობენ იმასა, რომ დოშაკებში და ბალიშებში ბამბა ცუდი სახმარიაო და ამას ამტკიცებენ იმითი, რომ იქ ბამბა იკმუშნება, ერთათა გროვდებაო და ამისგამო დოშაკები და ბალიშები ცუდი სახმარები გამოდიანო, მაგრამ ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ეს სულ ტყუილია და ამ ნაირი ლაპარაკი უცოდინარობიდგან წარმოსდგება მარტო. ძალიან კარგი დოშაკები და ბალიშები გაკეთდება ბამბისა, თუ გამკეთებელი გაისჯება ცოტა რიგიანათ გაჰპენტავს ბამბასა და თუ ვერ გაჰპენტავს ის თავისი ბრალი იქნება და არა ბამბისა, როგორც ისინი ამბობენ. ის მაინც მოვიგონოთ, როგორ მშვენიერათა კეთდებიან საბნები ბამბისაგან: მგონი ყველას უნახავს ამ ნაირი საბნები და ამიტომ აქ აღარ გავაგძელებთ. რა მიზეზია, რომ იმ ბამბიდგან, რომლიდგანაც საბნები მშვენივრათ კეთდება, ბალიშები და დოშაკები ვერ გაკეთდეს რიგიანი? დიახ, ეჭვი არ არის, რომ ბამბისაგან ისეთივე კარგი ბალიშები და დოშაკები გაკეთება, თუ კაცმა მოინდომა, როგორიც კეთდება საბნები. ამ ბამბის საბნებს სისუმბუქით და სიიაფით არც ერთი არ შეედრება და სხვა რაღა გნებავთ? თუ სისუფთავეს იტყვით, ყველამ იცის, რომ სისუფთავეში მატყლის საბნები და დოშაკები ვერას დროს ვერ მოვლენ ბამბასთანა; ასე ცხადია და კიდეც შეიძლება შეუცდომლათა ვსთქვათ, რომ ქვეყ-ნაზედ არ არის სხვა იმ ნაირი მცენაერ, რომელსაც შეეძლოს ღარიბის ხალხისათვის ისეთი სარგებლობის მოტანა, როგორი სარგებლობაც მოაქვს ბამბას. აგრეთვე არც ერთი მცენარე ქვეყანაზედ საწყალს მუშა ხალხს არ ასაჩუქრებს ისე მდიდრად და უხვად შრომისათვის, როგორც ბამბის მცენარე, მაშასადამე რა მიზეზია, რო არ მოიყვანოს ბამბა თავის მამულში იმან, ვისაც კი შეუძლიან? უკანასკნელ, ბამბის სასარგებლოთ ჩვენ კიდევ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ მარტო თვითონ ბამბა არ არის სასარგებლო კაცისათვის. არამედ თვითონ ძირებიც: მრავალი გამოცდილი და პატივ საცემო ექიმებისაგან არის დამტკიცებული, რომ ამ ბამბის ძირი რომ გამოიწუროს, ეს ნაწური ნამდვილი წამალია ციებისა. აევრს ალაგებში სხვა და სხვა მიზეზების გამო ძალიან გაფუჭებულია ჰაერი და ამის გამო ხალხი ძალიან ხშირათა ხდება ავათა და აი ამ შემთხვევეებშიც ნამდვილი წამალი ბამბის ძირის წვერია. ეჭვი არ არის, რომ ამ მხრიდგანაც დიდი სასარგებლო და ძვირ ფასია ბამბა კაცობრიობისთვისა.

## სამღვდელოების გადასახადის კრეფა

დროების № 16

რუსულ გაზეთში «პეტრებულის უწყებებში» ვკითხულობთ ხარკოვის გუბერნიის, კუპიანის უეზდითგან ერთს კორრესპონდენციას, რომელიც შეეხება სამღვდელოებას, თუ რა დიდ ფულსა კრეფენ მღვდლები რიგის გარდახდისათვის: ნათლობისთვის, ქორწილისთვის, დასაფლავებისთვის და სხვა. ამ კორრესპონდენციას თითქმის სრულადა ვთარგმნით:

«პეტერბურღის უწყებებს» და კორრესპონდენციებს მუდამა ვკითხულობ, მაგრამ დღევანდლამდე სამღვდელოებისაგან ფულის კრეფაზე, გამოსაღებზე, ერთი სიტყვა არ გამიგონია. ეს არ ვიცი [illegible] ჰგავს? ნუ თუ კორრესპონდენტები ამაში ცუდს არას ხედვენ, თუ ეს ამბავი მარტო ჩვენს უეზდშია, ან იქნება ეს საქმე საქვეყნოთ განსჯას არ უნდა

მიეცეს? რაც უნდა თქვან, მაინცკი პირველათ გავბედავ ამ საგანს ყურადღება მივაქციო.

სამღვდელოებისათვის გამოსაღები სხვა და სხვა რიგის გადასხდისათვის მეტის მეტად წრეს გავიდა. ჯვარისწერისთვის მღვდელი ადრე 5 და 7 მანეთს იღებდა, ახლა თხუთმეტს ითხოვს, ესეც იშვიათად, უფრო 20, 25, 30 მანეთს და მეტსაც იღებს. მეტრიკისთვის წინათ რომ მანეთს იღებდნენ, ეხლა 7 მანეთს ნაკლებს ხელსაც არა ჰკიდებენ და იღებენ 10 და მეტსაც. ნოემბრის თვეში ერთ სოფლის საზოგადოებაში ვნახე სოფლების გლეხებს ყრილობა ჰქონდათ და საშინლად უჩიოდნენ სამღვდელოების გარდასახადს ფულსა და ამასთან ამბობდნენ, რომ ამის გამოთ ცოლის შერთვა რო გვინდა, ვეღარ შეგვირთავსო, რადგანაც მღვდლების ჯვარდასაწერის მისაცემათ სახლკარის გაყიდვა მოგვისდებაო. მე მკითხეს რჩევა, და არქიელთან უჩივლეთ, მეთქი. გლეხებს ეს ჭკუაში არ დაუჯდათ, არა გამოვაო და უფრო მეტის თხოვნასაც დაგვიწყებენო.

აი რამდენიმე სარწმუნო ამბავი: ჩემს მეზარეულისქალისთვის მეტრიკა მოუნდა, მღვდელი ამის მიცემისთვის რის ყოფით შვიდ მანეთს დასჯერდა. ჩვენს ახლო სოფელში მარტოხელმა გლეხის ბიჭმა დასახლება მოინდომა. ჯვარისაწერათ მღვდელმა ორი თუმანი მოსთხოვა, გლეხმა ხვეწნა დაუწყო, რვა მანეთი აიღე, სხვა არა მაქვს რაო. მეზობელი გლეხკაცებიც ემოწმნენ, რომ ღარიბიაო და იყოფინეთ რვა მანეთიო. მღვდელი თავის სიტყვაზე დადგა. საწყალ ბიჭს, რაცა ჰქონდა, სულ იაფად გაყიდა, მისცა მღვდელს ორი თუმანი და ჯვარისწერის შემდეგ მაშინვე დაგლიჯა თავისი ცარიელი ქოხი და ცოლიანათ მოჯამაგირეთ დადგა, რომ ხელმეორეთ სახლკარის გასამართავად ორიოდ მანეთი შეჰკრას.—სოფლის სასამართლოს მღვდელს ერთი გლეხის მეტრიკა მოითხოვა, მღვდელმა ერთი თუმანი მოინდომა. ბლაღოჩინთან გაგზავნეს, იმასაც ერთი თუმანი ეთხოვნა.—

დასაფლავებისათვის 3 მანეთს იღებენ ჩემთან წმ. ნდასანთლისთვის ერთი დედაკაცი მოვიდა, შვილი მოჰკვდომოდა. მე ვკითხე, მღვდელს მოიყვან თუ არა მეთქი? «რაც იქნება, იქნებაო, მღვდელს არ მოვიყვანო; აი აგერ ჩვენ მეზობელს ჩემსაზე უფრო პატარა დაუმარხა მღვდელმა, სამი მანეთი გამოართვა; მე არა მაქვსო.»—ახლა ამასაც უნდა დაუმატოთ, რომ ერთი სოფლიდგან მეორეში თუ დაუძახეს მღვდელი, ცხენი გლეხსა უნდა იყვეს წასვლა-წამოსვლისთვის

საკვირველი ეს არის, რომ თვით ეს მღვდლები, გლეხებს რო ამდენსართმევენ და თითო რიგის გადასხდის წინათ იმდენს ევაჭრებიან და ფულსაც წინათვე თხოულობენ,--მებატონეებს არც ევაჭრებიან, არც ეზარებათ დამასხების უმალ მისვლა და რიგის გადასხდაზე თითო მანეთსს სჯერდებიან, დაალერსიანა თაც მადლობას უხდიან.

უეჭველია, რომ მკითხველს ამისთანა ამბები ბევრჯერ უნახავს, როგორც ამ კორრესპონდენტსა. ვისაც სოფელში უცხოვრია და უნახავს ან გაუგონია ზემოხსენებული ამბებისთანა, ყოველთვის დაფიქრდებოდა და ბევრი რალაცაები გაუვლიდა თავში. მაგრამ რა წამალი უნდა დაედოს, აი ეს უფრო სასარგებლოა რო ვიფიქროთ.

შორს რომ არ წავიდეთ, ამას უნდა დავემყაროთ, რომ პირველად ხალხი საჭიროთა ჰრაცხს მღვდელი იყოლიოს. აქედგან გამოვა მეორე რამ: მღვდელს ცხოვრება უნდა, მეტადრე თუ ცოლშვილიანიც არის. ჩვენ კარგა ვიცით, რომ მღვდელს ჯამაგირი არა აქვს რა, მაშასადამე სოფელს თუ მღვდელი უნდა, უნდა შეინახოს კიდეცა.

ჩვენში როგორ ინახავს სოფელი მღვდელსა? თითო კომლი წელიწადში აძლევს თითო კოდს პურსა. ეს არის დადებული გლეხის გადასახადი. მაგრამ თუ სოფელში გიცხოვრიათ, ვის არ გენახვებათ რის ვაი ვაგლახით, ჯიჯლინით, ორმოცჯერ სიარულით, ხვეწნა მუდარებით და რამდენის დაიდარაბით აგროვებენ მღვდლები ამ თითო კოდსაცა. თითო კოდის მოგროვებისათვის ბევრჯერ კვირები კი არა, თვეები მიდის. ეს დაბრკოლება, სხვათა შორის, რასაკვირველია იმისაგან არის, რომ გლეხს თითონაც ძალიან ცოტა აქვს.

ამ გვარად ორისავე მხრით უსიამოვნო მდგომარეობაა: ერთს უჭირს მიცემა, მეორე ამ გაჭირებულ მდგომარეობასა ხედავს, მაგრამ თავისი გაჭირება ძალას ატანს რო გამოა… თოს. ორივე მხარე ჰგრძნობს ერთმანეთ… ვაგლახსა და აი ერთმანერთის სამდურავ… მიზეზი.

მღვდელს ეს გაჭირება და სამდურავი სხ… ლონისძიებას აპოვნინებს ხოლმე, რომ თა… ირჩინოს. წლის გადაკვეთილს გამოსაღებს … ალარ გამოეკიდება ხოლმე, როგორც რიგ… გადახდის ფულსა. ყოველთვის სცდილობ… რამდენიცკი შეიძლება, მეტი აიღოს ნათლ… ბაზე. და მეტადრე ჯვარისწერაზე და დასაფ… ლავებაზე. ესე მიდის დღითი დღე და ერთ… მეორეს ემდურება, მეორე პირველს ართმ… და ბოლო კი არ ელება.

როგორც წლის გადასახადის სიძნელე… გრძნობენ მღვდლები, განა ამ რიგის გადა… ხადის სიძნელეს კი არ იგრძნობენ. როგორ… უბრალო გულის კაცები, უეჭველათ უნ… ჰგრძნობდნენ. ვინც უფრო კეთილი გული… იმას მეტი ვერა მოუხერხებიარა, რომ ცო… ილებს რიგის გადასახადსა, და წლისას … იქნება თავსაც ანებებდეს. მაგრამ ვისაც გუ… სულ სხვა რიგად გადაჰქცევია ქვეყნის ვა… ში და ცოლშვილის ზრუნვაში, ის თავი… არ იკლებს და სცდილობს მომატებული … ლოს.

მაგრამ რაკი ამისთანა სიძნელეს და მ… მივ სამდურავს და ვაი ვაგლახსა ვხედა… ხომ ლონისძიება უნდა მოვიგონოთ, რ… ცოტაოდნათ მაინც შეუმსუბუქოთ სოფლ… ხალხს მდგომარეობა ამ შემთხვევაში.

ერთი მაგალითი იყო რუსეთში: სოფლ… ხალხმა გადასწყვიტა რალაცა გადასახად… თვის, რომ სახელმწიფო მიწა, რამდენ… დღიური, შეამუშაონ ერთად, ამის მო… ვალი გაჰყიდონ და ფული შეიტან… იმ გადასახადისათვის. ეს გარემოება ისე სანიშნავია, რომ მეტის მეტი ყურადღება… და მივაქციოთ, როდესაც სოფელში სა… გადო საქმეს აპირებენ: ბანკის გამართვას, შკოლის დაფუძნებას, ან და სახელმწიფო ფოშტის ხარჯსა.

მაგრამ რადგანაც ჩვენის აზრით ყოვე…

წყობილს საქმეს თავზე მცოდნე კაცი უნ-
ადგეს, ვიდრემდე საქმეს ხალხი შეეჩვეოდეს
ეს საქმე თავისთავათ, სხვის შეუწევნელად,
ვის უჩვევნებლათ წავიდოდეს, ისეთს ღონის-
ებას უნდა ვეძებდეთ, რომ შემდეგში ყვე-
ს ზემოხსენებული საქმეების წაყვანისათვის
ლხი მომზადებული იყოს და ამ ახლისა
ლიან არა ეუცხოვებოდეს რა.

პირველი და კარგი შემთხვევა ეს მღვდლე-
ს გადასახადია.

ჩვენი მღვდლები ადგილობრივადა სდგანან
ფელში, სოფლის ხალხის საჭიროება და
ვდლებისა შეერთებულია ამ გარემოებით.
თილ გონიერი მღვდლები მიხვდებიან, რა
ლიან საჭიროა ზემოხსენებულ სიძნელის თა·
დგან მოშორება. კეთილ გონიერი მღვდე-
ი, ცოტაოდე ხალხის სიკეთის მზრუნველი
ვდება ამ სიძნელეს რამ წამალი დასდოს
ხალხს როგორმე ჩააგონოს რამ ორთავ
რისთვის ღონის ძიება.—და მღვდლისთვის
იდათ სასარგებლო იქნებოდა ზემო
ხსენებულ საქმის ასრულება. ვიტყვით გა-
წყ:ეტით და უფრო გარკვევით.

ვთქვათ, ერთი სოფელია, რომელსაცა ჰყავს
ი კომლი მოსახლე გლეხი და ერთი მღვდე-
ი. წლის გადასახადი კომლზედ თითო კო-
ია, ამას გარდა სხვა გადასახადი იქნება ნათ-
ობაზე, ჯვარის წერაზე, დასაფლავებაზე და
ვ.

წლის გარდასახადი კოდისა იქნება ასი კო-
და ცალკე რიგის გარდასახ·დიც სხვა. ეს
რივე პურზე ვიანგარიშოთ, სთქვათ სულ
რასი კოდი გამოვიდა. განა არ შეიძლება
ელმა სოფელმა ერთათ მოიყვანოს ეს ორა-
, ან მეტი და ანუ ნაკლები, რომ უფრო
უადვილდეს გლეხობას ამისი გადახდა.

ვგონებთ ასე შეიძლებოდეს: იშოვოს გლე-
ობამ და მღვდელმა ერთათ რამე სახნავი
წა და გლეხობამ იკისროს იმისი შემუშა-
ბა: ხვნა, თესვა, რწყვა, მოტანა, გალე-
ვა და განიავება. რასაკვირველია მთელი
ფელი ერთათ არ მოუნდება ამ მუშაობას.
შეიძლება: წრეულს სოფლის ერთმა ნაწი-
მა გააკეთოს, ერთმა უბანმა იმუშაოს, მერ-
მის მეორემ, მერე მესამემ და სხვა ამ რიგად ჯერითა.

აქ რამდენიმე გარემოება არის, რომელზედაც ლაპარაკი მეტი არ იქნება. ვთქვათ, წლის გადასახადი· კოდისა ცხადია, რამდენი უნდა შესდგეს; სხვა რიგის გადასახადი, ჯვარის წერისა და საფლავებისა როგორ ვიანგარიშოთ? იტყვიან. ამისი გამოანგარიშებაც ძნელი არ უნდა-იყვეს. განა არ შეიძლება ორი-სამი წლისა, ოთხისა, ხუთისა გამოიანგარიშოს ხალხმა, მღვდელს რა აულია ნათლობაზე და სხვა რიგის გარდახდაზე. რამდენჯერ რა მომხდარა და რა შემთხვევაში რამდენი აულია მღვდელსა. სულ ამისი ანგარიში მღვდლებს კარგა ეცოდინებათ თავთავის სოფელში და ვგონებთ მოხარულიც იყვნენ, რომ იმდენს დავიდარაბას და ლიჯინს გადარჩნენ. ამისთვის კეთილ-გონიერთ, არა გვგონია, რომ დამალონ ვის რა აქვს წელიწადში შემოსავალი სულ ერთიანად.

მეორე გარემოება ის იქნება, რომ მამულს სად ვიშოვნითო. ამ შემთხვევაში შეიძლება რამდენიმე გზა გამოჩნდეს. საცა მებატონეები არიან და მამულები მომატებული აქვთ, იქნება არ დაუშურონ თავის მღვდელს, რომელიც იმაც უხდის რიგსა, უხათრონ და დაუთმონ რამდენისამე წლით რამდენიმე დღიური; ამასთან იქნება მღვდელსა ჰქონდეს მამული ცარიელი. უფრო ხშირად შეიძლება სახელმწიფო მამულის აღება, რადგანაც სახელმწიფო მამულებზე ხშირად მუშაობენ გლეხები.

ერთი დაბრკოლება კიდევ ამაში იქნება, რომ ზოგი იტყვის, მე მარტო ხელი ვარო და წვრილფეხობა არა მყავსო, არც არა ნათლობის და არც ჯვარისწერის ხარჯი არ მომივა, მე ტყვილად შრომას რად გავწევო. მაგრამ მარტოხელ კაცს თითონ სოფელიც ეხლა არასდროს არ აწუხებს და არც, ვგონებთ, შემდეგში შეაწუხებს.

თუ კიდევ ლაპარაკი იქნება რამე, ისევ საერთოდ თუ იქნება. იქნება თქვან, ადვევ ტყვილათ ამ მღვდლის შრომას რათ დავეკარგოთო. მაგრამ იქნება ამ შემთხვევაში გონიერებამ დასძლიოს და გლეხებმა ირჩიონ სამი ოთხი დღის მუშაობა, რამდენისამე წლის ვალზე, დედულ-მამულის დაგირავებაზე და სომხების და ურიების ხელში ჩავარდნაზე.

«დროების» მკითხველებში, არ შეიძლება, რამდენიმე კეთილ გონიერი მღვდელი არ იყოს, რომ ამ ჩვენს სიტყვებს ყურადღება არ მიაქციოს. ჩვენ დიდათ ვისურვებთ, რომ კარგათ განიხილონ, გაარკვიონ და თუ შეიძლება სოფლებში თავის მრევლს მისცენ ამგვარი რჩევა. ამასთანავე სასურველია, რომ გაზეთში ანუ ჟურნალებში გამოაცხადონ თავისი აზრი ამ საგნის შესახებ, რომ შევიტყოთ, რაში ხედვენ ამ გვარათ საქმის ასრულების დაბრკოლებას, ანუ შეუძლებლობას.

კიდევ განვიმეორებთ, რომ ეს გაუადვილებს გლეხებსაც და მღვდლებსაც გადასახადის აღებას და მიცემასა. მღვდელი სამუდამოდ უფრო თავისუფალი იქნება ლიჯინსა და დავიდარაბასა, გლეხი თავისის მხრით მარტო აასრულებს რამდენსამე დღის მუშაობას და ყოველთვის შეუძლია შეუვაჭრებლად დაიბაროს მღვდელი მოსანათლავად, ჯვარის წერად და დასამარხავად, რომელიც უნდა წავიდეს უფასოდ და გადაუხადოს რასაც რიგს მოითხოვს გლეხი.

ერთად ერთი მაგალითი რომ სადმე გაჩნდე᾽ და ისეთი მღვდელი გამოჩნდეს, რომ მრევლს ჩააგონოს და მრევლიც თავის სარგებლობას ხედავდეს· ამ საქმის ასრულებაში, ჩვენ დარწმუნებული ვართ, სხვა ბევრი სოფელი გამოჩნდეს მიმბაძველი.

ვნახოთ გამოჩნდება იმისთანა მრევლი და მღვდელი სადმე, თუ არა?

ვ.

ტფილისი, 25 აპრილს.

---

# მეყველეების არტელი

(გაგრძელება)

ამჟამად ჩვენში მეყველეებთ ამხანაგობის დაფუძნება იმ რიგათ, როგორც რუსეთშია, ჩვენდა სასიამოვნოდ, იკისრეს კახეთის შემძლე მემამულეებმა: თთ. გ. ჯორჯაძემ, ლ. ჯანდიერმა, ვ. მაყაევმა და სხ., რომელნიც მხურვალის გულით მზათ არიან და სურთ ამ კეთილ საქმეს მისცენ პირველი დასაწყისი და დააარსონ თავიანთ მამულში. იმათ მით უფრო არ გაუძნელდებათ ამ საქმის დაწყება, რომ მეწველი საქონელი კარგი ძალი ჰყავთ, იმათი საძოვარი და სათიბი ადგილები თავისი მშვენიერი ჰაერით და სივრცით სრულ ნებას აძლევს, რომ საქონლის მოვლას ხელი მოჰკიდონ და დიდს შემოსავალსაც უქადის მომავალში. ამასთან ისინი მზათ არიან გლეხებიც შეიამხანაგონ ამ საქმეში, რადგანაც ფურები ერთად სძოვენ იმათ ფურებთან და თან დარწმუნებულიც არიან, რომ ერთად საქმის დაჭერა უფრო ცოტა ხარჯს მისცემს საქმის წარმოებას, მაშასადამე მეტს შამოსავალს. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ყველაფერი ჯერ უშინჯავი ახალი რამ უცხოდ და მოუხერხებელ საქმედ ეჩვენება ყველას, განსაკუთრებით იმას, ვინც გამოუცდელი და უცნობია ყოველგვარი ახალი საქმის დაწყებაში. თუმცალა ზემოთ-ხსენებული მემამულეები დარწმუნებულნი არიან, რომ არტელის გამართვით ისინი თუ ბევრს არა რამოდენიმეს მაინც მოიგებენ პირველს წლებში და მასთან მათს საქონელს და ადგილებს გააუმჯობესებენ, მაგრამ ის აზრი მაინც თან მიჰყვებათ, როგორც ყოველთვის: «ვაი თუ ტყუილი შრომა და ხარჯი მოგვივიდესო!»

ამ შემთხვევაში პირ და პირ ვალი მართებს იმ ადამიანებს ვისაც ან უნახავს, ან წაუკითხავს, ანუ გაუგონია რამე ამგვარ არტელებზე და მათ სარგებლობაზე, რომ თავიანთი აზრის გარდაცემით ანუ სიტყვით, ანუ ლიტერატურაში წააქეზოს და შეახალისოს ამგვარი არტელის დიდ სარგებლობაზე. ისინი მოვალე არიან იფიქრონ რამე ამ საზოგადო სასარგებლო საქმის აღსრულებაზე და გარდასცენ საფუძვლიანი მოსაზრება თავის თანამოძმეებსა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სულ წინააღმდეგად გამოდის. ზოგიერთები, რომელთაც გაუგონიათ რამე ამ არტელებზე, მაგრამ, როგორც ეტყობათ, არ სურვებიათ, საუბედუროთ, საფუძვლიანათ გაგება მათის სარგებლობისა, იმას ქადაგებენ თურმე, როგორც გავიგეთ, ვითომც საქართველოში მოუხერხებელი საქმე იყოს არტელი და ვითომც ჩვენში საქონლის მოვლა და იმათგან რამე სარგებლობა შეუძლებელი იყოს და ათას ამისთანაებს.

იმისთანა უსაფუძვლო და შემცდარი ჰაზრების გავრცელებას ჩვენში, მგონი, ამ უკანასკნელ დროს ძალიან დაეხმარა უფ. ენგელგარტის სტატია მეყველეებთ არტელებზე, რომელიც ერთს რუსულ ჟურნალში იყო დაბეჭდილი. ამ სტატიაში უფ. ენგელგარტი ამტკიცებს, რომ არტელით ყველით კეთებას ჯერ-ჯერობით ზოგიერთ ალაგას უფრო მომეტებული ვნება მოაქვს რუსეთის გლეხებისათვის, ვიდრემ სარგებლობაო. ამ ჰაზრს, სხვათაშორის, იმით ამტკიცებს, რომ გლეხებს, რომელთაც თითო-ოროლი ძროხა ჰყავთ, გასასყიდი რძე სრულიად არა აქვთო; რასაც მოსწველიან, თვითონვე მოუნდებათო; და თუ რძეს ჰყიდიან ქარხნებზე და თითო ოროლა გროშს იგებენ, ამით უფრო მომეტებულ ზიანს ხედავენ ისინი, რადგან თავიანთ სხეულს მარგებელ საჭმელს აკლებენო. ეს მოსაზრება ერთის მხრით ჭეშმარიტია, რადგან მართლაც რომ ზოგიერთ რუსეთის ქარხანებს სრულებით ვერ მოაქვთ სარგებლობა; მაგრ ეს ითქმის მხოლოთ იმ ქარხნებზე, რომელნიც უბალახო ადგილებზეა გამართული და რომლის მეპატრონე გლეხებს, ამ უბალახობისაგამო, არ შეუძლიანთ ბლომათ იყოლიონ ფურები.

მაგრამ ჩვენი მხარე საზოგადოთ და განსაკუთრებით კახეთი, სადაც ახლა აპირებენ ამის თანა ქარხანის გამართვას და სადაც თვალ გადუწვდენელი საძოვარი მინდვრები და მთ ბია — განა ამისთანა მდგომარეობაში იმყოფ ბა? ვინ დამარწმუნებს, რომ ის მებატონე, რო მელსაც 100-200-მდი ჰყავს ფური, ან ის გლ ხი, რომელსაც ხშირათ 10-20-მდი მეწველ ძროხა ჰყავს, — რომ ამისთანა მებატონე დ გლეხი თვითონვე, თავის ოჯახისთვის ხარჯა დეს შემოსულ რძესა, რომ ამისთანა ადგ ლებში არტელების გამართვა უანგარიშო ს რგებლობას არ მოუტანს საქონლის მეპატ რონესა?

**ნ. ახვლედიანი**

---

### ალექსი ანდრიას ძე კვალიევი
### და
### ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი

სადავოსა და სამსჯავრო საქმეების წარმო ბამ კისრულობენ ყოველს სასამართლოს ა ისლებში: მომრიგებელ მოსამართლეებთა (მიროვოი სუდებში); ოლქის სასამართლო სამოსამართლო პალატაში და სენატში, ‹ისა ამთთან მოლაპარაკება ენებოს, მოიკითხო არსენალის ქუჩაზედ, ჭავჭავაძის ქუჩის მა ლობლად, ფულინოვის სახლებში, სადაც უწ ეჟევშჩიკების შკოლა იყო და ახლა სდგ

მიტრი ივანეს ძე ყიფიანი დილით თერმეტ საათამდინ და საღამოთ ოთხი საათიდამ შვიდ საათამდინ. საღამო დროს — კვალიაშვილის სადგომში, საპერნ ქუჩაში, ბაბანასოვის სახლში·

---

## განცხადება

### მრიელხასარგებლო

წიგნი დაიბეჭდა ამ დღეებში, ქართულ-ფრანცუზული «ლექსიკონი» ფრანცუზული სიტყვები ქართულის ასოებით შედგენილი ივანე ანდრიასძე როტინიანცისაგან და ისყიდება ტფილისის კნიჟნი-მაღაზიებში, და ივანოვის ბიბლიოტეკაში ფასი 30 კოპ. მყიდველი ათის წიგნისა ერთათ სარგებლობს თითოზედ ათს პროცენტსა.